№ 91. 3 მაისი, კვირა. 1866—1881 3 მაისი, კვირა. № 91

**რედაქცია**

გოლოვინის პროსპექტზედ, იგ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება თფილისში „დროება“-„ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში: „დროება“-„ივერიის“ აგენტთან ი. ჭუონიასთან სილაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.

**„დროება“-„ივერიის“ ფასი**

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., წვრილი ასოებით ... წვრილი ასოებით ასოზე ნახევარი კაპ., ... ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს შემოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

ხელის-მოწერა

## ბროსსეს

სახელობის პრემიისათვის, რომელიც ფუძნდება საქართველოს ისტორიიდამ საუკეთესო თხზულებათათვის.

სია მეთერთმეტე.

გორში მოგროვილი ქრ. იოს. მამაცოვის საშუალობით:

| | მან. | კ. |
|---|---|---|
| თ. რევაზ შალვას-ძე ერისთავი | 10 | „ |
| კოსტ. იოს. მამაცოვი — — | 5 | „ |
| ქრისტ. იოს. მამაცოვი— — | 10 | „ |
| ანტ. ნიკ. ფურცელაძე— — | 3 | „ |
| გიორ. იოს. მამაცოვი— — | 2 | „ |
| ნინო კოსტ. ასული მამაცოვისა — — — — — — | 3 | „ |
| რუისის სოფლის სკოლის მასწ. და შაგირდები — — — | 3 | „ |
| ქ-ნა ნინო დავ. ასული ერისთავისა — — — — — | 2 | „ |
| არისტ. ქუთათელაძე — — | 2 | „ |
| მათე ძერესელიძე — — — | 2 | „ |
| სულ — | 42 | „ |
| სულ ადრე მოგროვილიანათ | 397 | 70 |

## ტელეგრამმები

**პეტერბურღი, 2 მაისს.** გაზეთს გოლოსში დაბეჭდილია, რომ მიბრძანდნენ თუ არა გაჩინოში ხელმწიფე იმპერატორი და იმპერატრიცა, იმ დღიდამვე მუდამ დღე დიდხანს დაიარებიან გაჩინოს პარკში და მიდიან ბაღში დამწუხდეულ მხეცების სანახავად. უცხო ქვეყნის გაზეთებში დაბეჭდილი ამბები, ვითომც იმპერატრიცა უქეიფოთ არისო,—ტყუილია. გუშინ მათი დიდებულება იმპერატორი და იმპერატრიცა გაჩინოდამ პეტერბურღში გადახდილ ეკიპაჟით და უკანვეიოთ წაბრძანდნენ.

ოლდენბურღის პრინცი ძალიან ავათ არის.

**რომი, 30 აპრილს.** რომის პაპმა მიიღო და გამოუთხოვა მათს უმაღლესობას დიდ მთავართ სერგი და პავლე ალექსანდრეს-ძენი და კონსტანტინე კონსტანტინეს-ძე.

**პეტერბურღის ბირჟა, 2 მაისს.**

(„ხალხოსანურის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა— — | 97 | 25 |
| მეორესი— — — — — | 94 | 37 |
| მესამესი — — — — — | 94 | 75 |
| მეოთხესი — — — — | 94 | 50 |
| აღმოსავლეთის პირვ.— — | 92 | 87 |
| აღმოსავლეთის მეორე — | 93 | 12 |
| აღმოსავლეთის მესამე — | 93 | „ |
| ოქრო, ½ იმპერიალი — | 8 | 1 |
| თფილისის საადგ.-მამ. ბანკის გირაოს ფურცელი — | 90 | „ |
| ქუთ. საადგ.-მამ. ბანკისა — | 90 | 75 |

| შინაგანის 5% სესხი ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი სესხის — — | 224 | „ |
| მეორე სესხის — — — | 217 | 75 |

1 მანეთი ღირს:

| | | | |
|---|---|---|---|
| ლონდონი — — | 24 | 43 | პენსი |
| ბერლინი — — | 124 | 62 | პფენიგი |
| გამბურღი — — | 209 | „ | ცენტი |
| პარიჟი — — — | 257 | 50 | სანტიმი |
| კავკასიის კერასინი — — — | | | |

### ქუთაისის ბანკის კრება

30 აპრილს, სხდომა პირველი

ხარაზოვის თეატრის დარბაზში დილის ათ საათიდამ ნელ-ნელა იკრიბებიან მეკენჭეები...

პარტებში 400 კაცისთვის არის დამზადებული ადგილები. წინ ავანსცენაზე ორი გრძელი სტოლი დგას ზედამხედველი კომიტეტისა და გამგეობის წევრებისათვის და ერთი პატარა ბუხგალტერისათვის. ზევით გალლერეიაზე მშვენიერ სქესისათვის სამოციოდე სკამი დგას. პარტებსა და ავან-სცენას შუა გაელებულია მოაჯირი, რომლის აღმოსავლეთით (პარტებისკენ) ორი გრძელი სტოლია ერთმანეთზე სიგრძით მიდგმული და მწვანე მაუდით გადაფარებული. ზედ აწყვია ფერად-ფერადი ანგარიშები განვლილის წლისა, ბანკის წესდებანი, გამგეობის მოხსენებანი კრებისადმი და ბალანსები ქართულად ნათარგმნი... მრავალი ოხუნჯობა გამოიწვია ამ უკანასკნელმა ორ სტოლმა დამსწრე დარბაისლებში.

— რა არის ამ სტოლზეო? იკითხა ვიღაცამ, რომელმაც კარებიდამ მოჰკრა მას თვალი.

— ეს კანფეტები გახლავს წინ-დაწინ დამზადებული ბაქრაძისთვისო: რომ გაშავდება, პირის ჩასატკბარუნებლად დასჭირდებაო, ემასხრება ლოლბერიძის მომხრე.

— არა, შენ არ მომიკვდე, ფიცხლად მიახლის ბაქრაძის ერთი მეჭახრაკეთაგანი—ეს წინ-და-წინ დამზადებული ტაბლა გახლავს ნიკო ლოლბერიძისათვის, რომ გაშავდება, ამბობენ, მაშინვე თავს მოიკლავსო...

— სხვასა ნუ უთხრი სამარეს, თვით ჩავარდები შიგაო, მოისმის განიდამ და სხვ...

უკვე 12 საათია, მაგრამ სხდომა ჯერ არ გახსნილა: ზედამხედველი კომიტეტი არ შეკრბა.

დამსწრეთ რიცხვი 144-მდეა. საზოგადოება ჯგუფ-ჯგუფად არის დაყოფილი. ერთი უფრო დიდი ჯგუფი გარს არტყია ქ. ლ—ძეს (ზედამხედველ კომიტეტის წევრი), რომელიც ჩვეულებრივად ორატორობს, რომ ეს-და-ეს წინადადება ორი კერძო პირისა შეწევნის თაობაზედ ამა-და-ამ მიზეზით ვერ მივიღეთ და სხვ.

ამასობაში ბანკის საქმეთა მწარმოებელი მისის „პოპოშნიკი-თურთ“ და მწერლებით დიდს ფაცა-ფუცშია: წევრთა სიებს ამზადებს...

პირველი საათის ნახევარზე მობძანდა ბახვა შალავა და დაჯდა, როგორც შეჰფეროდა ძრიელი დასის მეთაურს, პირველს წყობაზე, ჩრდილოეთით. ყველანი მოწიწებით უყურებენ, ყველა გრძნობს მის მნიშვნელობას ამ კრების დროს...

სხდომა გაიხსნა 1 საათზე.

---

«დროების» ფელეტონი, 3 მაისი.

### მთიულ-გუდამაყარი *)

(მოკლე ეთნოგრაფიული შენიშვნები)

ამ ორ ხალხში პატიოსნურ ქცევით, ცდილობით კეთილის მიღებისა, სმენით და ხედვით მთიულნი წინ სდგანან გუდა-მაყრელებზედ; შვილების გაზრდას სკოლაში მთიულნი უფრო ცდილობენ; გუდა-მაყრელები კი ვერ ბედვენ და არც არიან მიჩვეულნი, რომ ისწავლონ რამე გარდა მეცხვარეობისა.

გუდა-მაყრელები ამბობენ:

—დეკანოზები და მკითხავები გვეუბნებიან, რომ გუდამაყრის სალოცავები, ხატები, წიგნის და სხვა მეცნიერების ანუ სხვა ცხოვრების სწავლასა არ შეიწყნარებენო.

ეს მართალი გახლავთ: მე თითონ ვიცი, რომ ბევრს უნდა ლამაზი სადგომი ოთახები გაიკეთოს; მაგრამ როგორღაც უნებურათ შინდებიან მკითხავის სიტყვებით და მისდევენ ძველ ცრუ-რწმუნებასა თქმით:

— პაპა-ჩემს, მამა-ჩემს ასე უცხოვრნია და მეც ასე ვიცხოვრებ, რა კი მართლა ხატი არ ინებებს.

ერთ ჩემ ნაცნობ გუდა-მაყრელს მრავალჯერ შევაგონე ესწავლებინა წიგნი თავის შვილისათვის, მაგრამ ის ყოველთვის ჩემს შეგონებაზედ მეუბნებოდა:

— ვერ, შენი კვნესა-მე, ვერ მივსცემ ჩემს შვილსა სწავლაში, ხატი გაგვიწყრება, სწავლას არ ხდინულობს.

ჭირსავით ჩემოვეკიდე და ძლივს მოვაყვანინე ჩემთან უფასოთ სწავლებისათვის. თუმცა იმის ყმაწვილი სწავლობს სამაგალითოდ ჩემს საპრიხოდო შინაურ სკოლაში, მაგრამ თავი რომ წამოსტკივდეს ან სიცივესაგან ან სხვა მიზეზისაგან, მაშინვე ხატებს დააბრალებენ, ხატისაგან არის ავათ; გარბიან მკითხავთან, მკითხავიც ეუბნება: „ესა და ეს ხატი ამბობს: (ახსენებენ რომელიმე წმიდას ადგილისასა) მე არ მინდა დიდი ნასწავლი კაცი, არამედ მინდა უსწავლელი, რომ მადიდოს მე და ეშინოდეს ჩემი ყმასაო!“

ძალიან შესანანია, რომ ეს ნიჭიერი მთიულ-გუდამაყრის ხალხი ასე უყურადღებოთ არის გაშვებული მთავრობისაგან. ცხადია ყველასთვის, რომ სკოლა არის გამნათლებელი და მომქცევი გაბრიყვებულ ხალხისა. ყოველ მხარეში ჩვენ საქართველოში დააწესეს სასწავლებლები და აქ კი არ ვიცი რატომ არ აჩენენ და ვინმე გულ-შემატკივარი რატომ არ შემოიხედავს?

ამათ კერპობის მოსასპობელად საჭიროა და პირველი საშუალება იქმნება სასწავლებელი; მაგრამ ვინ არის მომხედავი. ყოველგან ჩვენს საქართველოში თითონ ხალხი ცდილობს ისწავლოს რამე; ფშავ-ხევსურებში, თუშებში, ჯავახებში, სვანებში, ოსებში არიან სასწავლებლები, აქ, მთიულ-გუდამაყარში კი ფიქრათაც არ არის!!!

ამისთანა ვრცელ დუშეთის უეზდში ქ. თბილისიდგან ვიდრე ქ. ვლადიკავკავამდე არის მარტო ერთი სასწავლებელი ისიც ქ დუშეთში, სადაც სწავლა სოფლელების ყრმაწვილებისათვის ძალიან საძნელოა. სასწავლებელი მთიულ გუდამაყრელებისთვის სასარგებლო იქმნება ფასანაურში, როგორც შუა ადგილში მთიულ-გუდამაყრისა; გარდა ამისა აქ არის აფთიაკი, გოშპიტალი, ეკკლესია შიგვე, ბაზარი ადგილი, ფოჩტის განყოფილება, ტელეგრაფი და სხვ.

მთიულ-გუდამაყრის ხალხი ისეთი კერპი ხალხია, რომ იმათში მომქმედ კაცს ესაჭიროება ისეთი შემწეობა მთავრობისაგან, როგორც მისიონერებსა.

ცარიელის ჯიბით კაცი აქ ვერას გაარიგებს: ამ ხალხს უნდა საჩუქარი და პატივისცემა, რომ წახალისდეს და მიჰყვეს მოთავეს. დასაჩუქრებისას იფიქრებს: „კეთილი უნდა ჩვენთვის, ცდილობს, იხარჯება და უნდა ვიწაროთ, მივყვეთ“; მაგრამ თუ ვინმე კეთილი საქმის დასადგინებლად ხარჯი ამათ მოსთხოვა, მოერიდებიან როგორც თავის საკუთარის ჯიბისათვის მომქმედსა.

თუ რამდენათ ცრუ-მორწმუნეა ეს ხალხი და რამდენათ ეჭირება ამას განათლება, ერთი ამათი ბარბაროსული ჩვეულება დაგიმტკიცებსთ.

აქ იციან დედაკაცების „ბოსლობა“: როცა დედაკაცს ან უნდა დალოგინდეს, ან ჩადგება დედაკაცურ გარემოებაში, სისხლის დენაში, იმას

*) „დროება“, № 90.

ზოგს მეკენჭეთა ორ-ორი კენჭი აქვს.

გამგეობის თავსმჯდომარე ნ. ლოლაბერიძე ჰკითხულობს გამგეობის მოხსენებას კრებისადმი. სიჩუმე ჰსუფევს.

ა. ფიფინაშვილი, ზედამხედველ კომიტეტის თავსმჯდომარე, კომიტეტის სახელით აცხადებს, რომ გამგეობის მოხსენება მათ-მიერ შემოწმებულია და დამტკიცებული.

— ანგარიშის განხილვა ახლავ გსურთ, თუ სამერმისოდო.

მ. მიქელაძეს შემოაქვს ჰაზრი, რომ ანგარიშის განხილვა ხვალისთვის გადიდევას.

ა. ფიფინაშვილი: იქნება ახლავე გაქვსთ ზოგიერთს ანგარიშის გასარკვევად სათქმელი რამ?

კ. ლორთქიფანიძე მ. მიქელაძის აზრს ეთანხმება.

თ. ბასტუ ფალავა, მიხრწნილის ხმით ამბობს, ანგარიში ეხლავე განიხილოსო, ბევრი დრო მაინც არ მოუნდებაო...

ლ. ასათიანი: საზოგადოთ განხილვა ხვალ იყოს. მაგრამ ვისაც შენიშვნები დამზადებული აქვს, დიდათ შეგვეწევა, თუ ახლავე წარმოსთქმენ მათ. მაშინ კიდევ უფრო გაადვილდება ხვალინდელი განხილვა.

კრებამ გადაწყვიტა — ანგარიშის განხილვა ხვალისათვის გადიდევას.

ორის ნახევარზე სხდომა დაიხურა ხვალ 11 საათამდე.

## ახალი ამბები.

—

კავკასიაში ახალ მთავარ-მმართებლის დანიშნვის თაობაზედ ერთს პეტერბურღის გაზეთში იწერებიან შემდეგ ამბავს:

„ბევრ სხვა-და-სხვა პირებს ასახელებენ დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის-ძის მოადგილეთ კავკასიაში. მაგრამ რამდენათაც ჩვენ შეგვიტყვია, ყველაზე უფრო მოსალოდნელია, რომ ამ ადგილზე დაინიშნება ახლანდელი სამხედრო მინისტრი გრაფი მილიუტინი, რომლის მაგივრათაც, ამბობენ, ახალ-თეკეს დამპყრობელს ღენ.-ადიუდატს სკობელევს დანიშნავენო.“

* * *

ჩვენ მივიღეთ ზოგიერთი უფრო დაწვრილებითი ამბავი იმ სამწუხარო მოვლენაზედ — ზაქათალის მაზრის უფროსის პოლკოვნიკის სერაფიმოვიჩისა, ჟემლემერის კაპიტანის საკალცოვის მოკვლაზედ, რომელიც გავლილ 26 აპრილს მოხდა სოფ. ბელაქანში:

ეს საქმე, როგორც ადრეც იყო მოხსენებული, ბიორგი ბალაჯოვის სახლში მომხდარა; სახლის პატრონს ამ დღეს ნათლობა ჰქონია და დიდძალი სტუმრები ზაქათალიდამ და ლაგოდეხიდამაც ჰყოლია დაპატიჟებული, სხვათა შორის სესაფიმიჩიც, საკალცოვი და თავის სახლის-კაცები.

უსიამოვნება პირველად საკალცოვსა და სანდრო ბალაჯოვს შუა ამტყდარა სარწმუნოების თაობაზედ ბაასის გამო. საკალცოვი უსაყვედურებდა თურმე ამ ბალაჯოვს-რატომ შვილებს ქრისტიანობით არ ნათლავო; ამასაც უთქვამს, რომ ჩვენში ვინც ინათლება, მარტო ჩინების მისაღებად ინათლება, ან შვილების გამოსაზრდელათაო. ამაზედ ლაპარაკი ბოლოს გაცხარებულა, საკალცოვს შეუგინებია ბალაჯოვისათვის; ბოლოს იქამდინ მისულა საქმე, რომ ბალაჯოვს ხანჯალი ამოუღია და მარცხენა გვერდში ჩაუცია საკალცოვისათვის...

ამდროს სერაფიმოვიჩი მიშველებია. განჩხლებულ ბალაჯოვს ამისთვისაც მოუქნევია ხანჯალი, აგრეთვე გვერდში ჩაურტყამს და იქვე მოუკლავს. საკალცოვს კი ოცი ნაბიჯი გადაუდგამს, შემდეგ დაცემულა და მომკვდარა.

მკვლელი იქვე დაუჭირავთ და საავათმყოფოში (?) წაუყვანიათ.

ეს ამბავი მომხდარა კვირა საღამოს 7 საათზე.

ყველა სტუმრები ნაღვინევი ყოფილან და კარგათ შექეიფებიანებულნი.

მეორე დღეს სერაფიმოვიჩისა და საკალცოვის გვამები ზაქათალას წაუსვენებიათ დასამარხავათ.

თფილისიდამ ამ საქმის გამოსაძიებლად გაიგზავნა მთის სამმართველოს უფროსის თანაშემწე პოლკოვნიკი ფრეიერი და ამას გარდა ნამესტნიკის თანაშემწის ერთი ადიუტანტთაგანი.

როგორც ჰხედავთ, ამ სამწუხარო მოვლენას არავითარი პოლიტიკური მხარე არა აქვს, ეს ყოფილა მხოლოთ შედეგი ნაღვინევ ხალხის ბაასისა, შეტაკებისა და სხვა არაფერი.

* * *

გაზეთს „ბაქოს ცნობებში“ დაბეჭდილია შემდეგი ამბავი იქაურ ნავთის მადნების შესახებ:

„1877 წელს ხაზინამ გაჰყიდა ბალახანის ნავთის წყაროები 2,960,000 მანეთისა სულ 150 დესიატინა, ასე რომ თითო დესიატინა 20,000 მანეთად გასაღდა.

„დარჩა გაუსყიდავი კიდევ 147 დესიატინა.

„აი ამ 147 დესიატინიდამ მთავრობა ურიგებს ახლა, ნაჭერ-ნაჭერად, სხვა-და-სხვა დამსახურებულ პირებს ჯილდოთ. 1879 წელს პირველად აჩუქეს 10 დესიატინა ღენ.-ადიუტ. ლაზარევს; შემდეგ 1880 წ. ვიტგენშტეინს, ღენ.-ლეიტ. სტაროსელსკის და ღენ.-მაიორს თ. ამილახვარს ათ-ათი დესიატინა, კ-ნა ნატალია გაგარინისას, კ-ნა ქეთევან ორბელიანისას და პაპოვის ქვრივს—თითოეულს ხუთ-ხუთი დესიატინა. შემდეგ წელს 10 დესიატინა მიეცა ნამესტნიკის თანაშემწეს ღენ.—ადიუტ. თ. მელიქოვს, ღენ.-მაიორს თ. გ. სუმბათოვს—5 დესტ., ბაქოს ღუბერნატორს ღენ.-ლეიტ. პოზენს—5 დესიატ.., ოპოჩინინისას—5 დესიატ. და შტეინმანს—3 დესიატინა.

* * *

ოფიციალურს გაზეთში დაბეჭდილი სახელმწიფო რჩევის გარდაწყვეტილება, რომლის ძალითაც ბათუმისა და ყარსის მაზრებში შემოღებული უნდა იქმნეს იგივე წესი ვაჭრობის და წარმოების უფლებისათვის გადასახადზე, რომელიც კავკასიის დანარჩენ გუბერნიებში არის შემოღებული. კავკასიის ნამესტნიკს მინდობილი აქვს—თან-და-თან შემოღება ხსენებულს მაზრებში ამ წესისა.

* * *

სია საგნებისა, რომელიც უნდა განიხილოს ხვალ ორშაბათის სხდომაზე ქალაქის რჩევამ:

გამგეობის (უპრავის) მოხსენება ქალაქის ხაზინის შემოსავალ-გასავლის რევიზიისა;

მოხსენება გამგეობისა სავაჭრო (პურის) მეიდნის გადატანაზედ თ. სუმბათოვების ადგილზე;

ორი პირობის იჯარით მიცემის პროექტი და სხვ.

## „დროების“ კორრესპონდენცია.

—

ფოთი, 30 აპრილს. არ გაგონილა ჩვენი ქალაქისთანა უპატრონო და უთავბოლო ქალაქი; ვის რა ჰსურს, იმას სჩადის: სამოქალაქო ადგილები, მეიდანი ბუტკებით მოიკავეს; მეიდა-

---

ჯალაბში ვერ დააყენებენ: ამათთვის შორს სოფლისა არის ქოხები, დრომდისინ ამათში უნდა იყვნენ, როგორც განგდებულნი ჯალაბიდგან და საზოგადოებიდგან. ამ ქოხებში, ბოსლებში, უნდა ილოგინოს აგრეთვე ახალგაზდა გამოუცდელმა ქალმაც. მას არავინ მიუდგება შვიდ კვირამდინ; საჭმელ-სასმელს შორიდგან გადუყრიან. ბევრჯელ მელოგინე უპატრონებით კვდება; ბევრჯელ მომხდარა, რომ ნადირსაც გაუფუჭებია...

მ. დიმიტრი მეტრეველი.

## უბედური სიყვარული

### ნამდვილი ამბავი

(ნათარგმნი)

ის მხოლოდ ოც-და-თორმეტი წლის ქალია.

თუმცა ჯერ კიდევ ახალ-გაზდაა, მაგრამ იმის ლამაზ პირის-სახეს დასტყობია მწარე ცხოვრება. წაბლისფერი თმა და წვრილი შავი წარბები ამშვენებენ მის ნაღვლისაგან ჩაყვითლებულ პირის-სახესა შეხედულობით გამბედაობა უფრო ეტყობა, ვიდრე ნაზობა. ლაპარაკის დროს მისი სწორე, წვრილი ცხვირის ნესტოებიც კი იძვრიან. ამასთანავე აქვს ისეთი ცოცხალი თვალები, თითქო სწვავს ადამიანს.

ამ ქალს ჰქვიან მარი ბიერი. პარიჟი მას იცნობს, როგორც გამოჩენილ მომღერალს, მარი ბერალდის სახელობით.

* * *

მარი ბიერს ყმაწვილობითვე დაეტყო ნიჭი; ამიტომაც დედ-მამამ მარჯვედ დააყენეს ის გზაზედ. ამათ ჩამომავლობითვე უყვარდათ დიდება. როგორც მხნე მამამ დასტოვა თავის სახლობა და გასწია ამერიკაში ფულის შესაძენად, ისეც ამ მხნე მამის ალტაცებულ ქალმა გადასწყვიტა, რომ უნდა თავი გამოეჩინა. თავისუფალი და თავ-მოყვარე ყმაწვილი მალე ვახდა გამბედავ და შეურყეველ ქალათ.

— თქვენ თავს დაღუპავთ თქვენის ფიცხი ხასიათით! ეტყოდა ხოლმე მასწავლებელი მარის, თქვენ სუყოველთვის უბედური იქნებით.

ეს ფიცხი ქალი კი არც არავის ეფერებოდა და არც არავის უთმობდა, თითქო დაბადებითვე დაჰყოლიყო მიუკარებლობა და ამაყობა.

ნათესავებისაგან წაქეზებული და თავის სახელის განთქმის მოსურნე მარი ბიერი შევიდა 1867 წელს პარიჟის კონსერვატორიაში, სიმღერის სასწავლებლათ.

სწავლა მშვენივრად მიდიოდა. იმედს აძლევდნენ, რომ პირველი ჯილდო იმას ეკუთვნის, თვალ-წინ კიდეც წარმოუდგებოდა მომავალში რა ბედიც მოელოდა; მაგრამ როცა 1873 წელს გაათავა სწავლა, მოულოდნელად ატტესტატის მეტი არა მისცესრა. პროფესსორებს შუა, კონსერვატორიაში, ხშირად მოხდება უთანხმოება. მაგრამ უსამართლობა მალე გამოაშკარავდა.

ბროშონმა, მუზიკალურ საზოგადოების პრეზიდენტმა მისწერა პარიჟის კონსერვატორიის დირექტორს შემდეგი:

„ბიერმა გაიკაფა გზა, გაიმარჯვა, იმან დასძლია ყოველი დაბრკოლება. მის ლაზათმა, კოხტად თავის დაჭერამ, ბუნებითმა მშვენიერობამ და ამასთანავე გამოხენილმა სუფთა კარგმა ხმამ და საოცრად გარკვევით გამოთქმამ — მიიზიდა ერთობ სუყველა მსმენელების ყურადღება. ტაშის-კვრას ბოლო არა ჰქონდა. ახალგაზდა მომღერალი დიდი ამბით გააცილეს.“

ესრედ შეუდგა მარი ბიერი თავის არტისტიულ ასპარეზს.

* * *

მარი ბიერი მღეროდა კონცერტებში, იტალიურ ოპერაში და მერე 1877 წელს ენკენისთვეში, თავის დედით წავიდა ქალაქ ბიარიცს. აქ იმას დაემართა ისეთი შემთხვევა, რომელმაც გულიც დაუთუთქა და მთლად მომავალიც მიწასთან გაუსწორა. აქ შეხვდა იგი რობერტ შანტიენს. ამ დროს ეს იყო ოც-და-ათის წლის მდიდარი, ყმაწვილი კაცი, დაუდევნელი და უდარდელი. ისე ახირებით დასდევდა მარი ბიერს, რომ დედა იძულებული იყო გაეფრთხილებინა თავის ქალი, მაგრამ, საუბედუროთ, სიყვარულმა ისე გაიტაცა ახალგაზდა ქალი, რომ აღარა ესმოდა-რა.

როცა მარი ბიერი პარიჟში დაბრუნდა, ხშირად ხედავდა ხოლმე შანტიენს და ბოლოს სრულიად მიეცა თავის სიყვარულს. იმათ შუა არც

ნი აღარა სჩანს; აქაურ პატარა რკინის ხიდებმა, ბოგირებმა და ფარნებმა ფეხი აიდგეს: დღეს რომ ერთ ქუჩაზე ჰხედავთ, ხვალ მეორეზე დაგიხვდებათ! პალის კნუტებივით დაათრევენ. დეპუტატები თავის ქუჩის განათებასა ცდილობენ და არა საზოგადო საქალაქო საქმესა. ზოგან იმისთანა ადგილებიდამ აიღეს ხიდები, ბოგირები და ფარნები, სადაც აუცილებლად საჭირო იყო. მთელი ქუჩები ოღროთ-ჩოღროთ, მუხლამდინ ლაფით სავსეა, კაცს ვერ გაუვლია.

რიონში გამყვან ნავების იჯარისა რაღა მოვახსენოთ! თუმცა კაცზე კაპეიკია, მაგრამ ხშირად ორ-სამ კაპეიკს ახდევინებენ. მეტის გადახდას ჯანი გავარდეს: ნახევარი საათი უნდა უცადო, სანამ ათი კაცი არ მოგროვდება, მანამ არ დაანძრევენ ფილუკას.

ჩვენი კლუბი თავისებურად მხიარულებს. აღდგომის შემდეგ ორჯერ იყო გამართული ბალი და ჩვენ კავალერებს ეღირსათ თეთრ ფერჩატკების ჩაცმა და ხტუნვა.

ჩვენი სასტუმროებიც მხიარულობენ: გაზაფხულში ამათ სტუმარი და მუშტარი არ აკლდებათ.

ქველაფრის სიძვირეა ჩვენში, გარდა ღვინის და მწვანილისა. ძროხის ხორცი გირვანქა 15 კაპ. იყიდება, ცხვრის ხორცი არ იშოვება; ზეთხი ოყა (სამი გირვ.) 60-70 კაპ., ახალი ხიზილალა—1 მან. 40 კაპ.; თევზი აქედამ წაღებული სხვა ქალაქებში იშოვება, რადგან ჩუმ-ჩუმათ მიაქვთ, და აქ ხშირად ვერ იშოვნით, გირვანქაში 3 მანეთიც რო მისცეთ; ქათამი 50 კაპ. და სხვ.

საშინელ ავდრების შემდეგ ამ დღეებში გამოიდარა; ჩვენი დიდი ბაღი (პარკი) მშვენივრად ამწვანებულია და საღამოობით იმაში დიდ-ძალი მოსეირნე ხალხი დაიარება...

ფოთელი.

# რუსეთი

როგორც იწერებიან ქ. ელიზავეტგრადიდამ, ქრისტიანების ებრაელებთან შეტაკების დროს, 100 სახლი დაუნგრევიათ, დაუჭრიათ 200 კაცი მეტი; ებრაელების დუქნები დამტვრეულია, ქუჩები ავსებულია ლეიბების ღინღლით და სხვა და სხვა ნივთების ნამტვრევებითო.

პირველად შეტაკების მიზეზი ყოფილა ის, რომ ერთ ებრაელთაგანს უცემია რუსი, რომელსაც სტაქანი გაეტეხა სამიკიტნოში; იქვე მყოფი მთვრალი ხალხი ყვირილით „ჩვენებს სცემენო“, დასცემია თავს ებრაელებს. 400 კაცზე მეტია ამ საქმის თაობაზედ დატუსაღებული.

— პეტერბურღის გაზეთებში სწერენ, რომ ტეხნიური საზოგადოება სთხოვს მმართებლობას გარდაეცეს განსახილველად მას კიბალჩიჩისაგან გამოგონილი ჰაერში მატარებელი მაშინა, რომელიც მოძრაობაში მოდის, როგორც ამბობდა ამ მაშინის მომგონი, დინამიტის აფეთქებით.

— პოლიტიკურ დამნაშავეთ სახალხოთ სიკვდილით დასჯა და ამ დროის ცერემონიები ამის შემდეგ მოისპობა.

— ამბობენ, ახალი წესდება გამოვაო, რომლის ძალითაც ბლაღოჩინები დაინიშნება არქიერების ამორჩევითაო.

— რუსეთში ამ ჟამად დიდი შესაწირავებია გარდაცვალებულის ხელმწიფის სახელობაზედ სხვა-და-სხვა კეთილის მიზნით და ქველ-მოქმედებით.

სხვათა შორის ქ. მელიტოპოლიდამ იწერებიან, რომ ადგილობრივ ერობას (ზემსტვოს) შეუწირავს სამოციათასი მანეთი გლეხების დასახმარებლათ ადგილების ყიდვაში.

— პროფესორს ვაგნერს მინდობილი აქვს განიხილოს ახალი ცვლილებანი რუსეთის ფინანსისა.

— გაზეთს „პეტერბურღის უწყებებში“ სწერენ, რომ მინისტრმა ბორიჩაკოვმა სამსახურიდამ დათხოვნის თხოვნა მისცაო; ერთი მოსკოვის გაზეთი კი სწერს, რომ ვითომც ბორიჩაკოვს ეთქვას: უცხო საქმეთა მინისტრად უნდა მოვკვდეო. რომელ ერთს უნდა დაუჯეროთ?

— შინაგან საქმეთა მინისტრის გრ. ლორის-მელიქოვის გამოცვლა, როგორც სწერენ პეტერბურღის გაზეთები, ტყუილი გამოდგა.

— გაზეთს *Mordenbladet*-ს აცნობებენ, რომ ხელმწიფე იმპერატორის დამარხვის დროს სახელმწიფო ღერბიდამ დაკარგულა ოთხი გვირგვინის ბრილიანტი, რომელნიც დღემდისინ ვერ უპოვნიათ.

— ხარკოვიდამ ტელეგრამმით აცნობებენ გაზეთს „რუსკი კურიერს“, რომ პოლიციას დაუტუსაღებია ორი პირი, რომელნიც ხალხს ურიგებდნენ რევოლიუციურ პროკლამაციებს (აღკრძალულ ფურცლებს).

— რუსეთის მთავრობამ შეატყობინა ოსმალეთისას იმ ოსმალეთის ჩინოვნიკების მოქმედება სომხეთში, რომელთაც არ იხმარეს საშუალება შეეჩერებინათ მაჰმადიანელების ფანატიკური უწესობა ბაიაზეთში და ალაშკერთში.

— გარდაცვალებულის ხელმწიფის სახელობაზედ აშენდება პეტერბურღში საყდარი, რომელშიაც ათასი კაცი უნდა დაეტიოს.

# უცხოეთი

ალბანია. აჯანყებულ ალბანიელების საზოგადოება (ლიგა) თავის ცირკულიარით სთხოვს ევროპის სახელმწიფოებს, დააწესონ ავტონომიური წყობილობა ალბანიაში.

— დერვიშ-ფაშას დაუმარცხებია ალბანიელები.

— „ხალხთა-შორის სააგენტოს“ ცნობით ქ. რაგუზიდამ, ბუსინიის ალი-ბეი დაუმორჩილდა დერვიშ-ფაშას, რომელსაც მოელიან სკუტარიშიო.

თუნისი. პარიჟელი კორრესპონდენტი „რუსკი კურიერისა“ იწერება, რომ თუნისის ბეიმ სთხოვა იტალიას დახმარებაო.

— ქალაქ თუნისიდამ იწერებიან, რომ ფრანცუზები შევიდნენ ბიზერტშიო; შიში აქვთ ადგილობრივი ხალხის არეულობისაო.

— თუნისის ბეის (მთავარს) კიდევ ახალი ნოტა გაუგზავნია ევროპის სახელმწიფოებისთვის, რომელშიაც სთხოვს დახმარებას და შუამდგომლობას.

— პარიჟიდამ იწერებიან 25 აპრილს, რომ უცხო საქმეთა მინისტრმა ბარტელემი სანტ-ილერმა გამოაცხადა, რომ საფრანგეთი სრულებით არ სცდილობს ადგილების დაჭერას თუნისშიო.

ინგლისი. გაზეთის „*Daily News*“-ის სიტყვით, ინგლისი უარს იტყვის ყოველ გვარ წინადადებაზედ და საშუალებაზედ, რომელიც კი შეეხება სოციალისტებსა. ამის თაობაზედ ბერლინიდამ იწერებიან, რომ თ. ბისმარკმა უკვე მიიღოვო უარი ინგლისის მთავრობისაგან იმ წინადადებაზე...

რამე პირობა ყოფილა და არც ხელწერილით შეკრულობა.

„მე მიყვარდა ის“, ამბობდა ბიერი და ეს იყო იმის თავის-გამართლება. თავიანთ სიყვარულს და კავშირს დიდი სიფრთხილით მალავდნენ, მაგრამ დედამ შეუტყო და გამოლანძღა ჟანტიენი. მარი ბიერი იძულებული იყო დაეტოვებინა საშობლო სახლი, თუმცა თავის სახლობა ძალიან უყვარდა და პატივსა სცემდა. ჟანტიენს არაფრად იამა ეს ჩხუბი. იმას მოებეზრა კიდეც მარი ბიერი და სიყვარულსაც უყურებდა როგორც დროებით გართობას. ეხლა ეს ფიქრი აწუხებდა, რომ როგორმე თავი დააღწიოს, თუ არ სრულებით, დროებით მაინც. მოიგონა მოგზაურობა. მარი ბიერი დააბონავა, უშოვა ბრიუსსელის ოპერაში ალაგი და თითონ აანვარში, 1878 წელს, გაემგზავრა.

ჟანტიენი წერილებს სწერდა თავის საყვარელს, მაგრამ ისე გულ-გრილად, რომ საწყალმა ქალმა ეჭვი აიღო. ერთს წერილში ამბობდა:

„მსურს შენთვის სრულიადი გამარჯვება, რა შეედრება იმას, როცა ხალხი თაყვანსა გცემს!“

ეს სიტყვები სწორედ მაშინ იყო მიწერილი, როცა მარი ბიერს ორნაირი ელდა ეცა:—დარწმუნდა, რომ ფეხ-მძიმედ არის და ამასთანავე ხმაც დაჰკარგა.

ჟანტიენის სიტყვები მწარე დაცინვათ შემოესმა.

* *
*

მომღერალმა დაჰკარგა ხმა, ამასთანავე ალაგიც და დაბრუნდა ბრიუსელიდამ ისევ პარიჟში, სადაც მაისში ჟანტიენიც მოვიდა. მარის ორსულობამ ისე გააშფოთა ჟანტიენი, რომ არა თუ იფიქრა სახელი მიეცა თავის მომავალ შვილისთვის, იმის დედაც კი შეიძულა. იმის უგულობამ იქამდის მიაღწია, რომ სთხოვდა, უეჭველად მუცელი გაეცუდებინა და ექიმიც კი გაუგზავნა; მაგრამ მარის ბუნებით გრძნობამ და დედობრივ სიყვარულმა დასძლია. მარი ბიერმა თავს უშველა იმით, რომ ჟანტიენს გამოუცხადა—ექიმი დიდ ფულს თხოულობსო. ამ ამბავმა შეაყენა წუწკი თავ-მოყვარე ყმაწვილი კაცი.

* *
*

მარი დასაწოლი იყო; ჟანტიენი კი უფრო-და-უფრო ბრაზობდა, ეჭვს იღებდა საწყალ ქალზე. ერთის სიტყვით ჟანტიენი საზიზღრათ იქცეოდა. როგორიც თითონ იყო, იმისთანავე მეგობრები დასცინოდნენ ჟანტიენს და აფრთხილებდნენ, არ მოგატყუოსო. იმ დროს კი უბედური ქალი ანდერძათ სწერდა თავის დღიურში შემდეგს:

25 ენკენისთვე.

„ურიგო არ იქნება, მგონია, რომ ვიფიქრო ჩემ მომავალზე, რადგან შესაძლოა იმის უნახავათ მოვკვდე, ორიოდ სიტყვით უნდა გამოვესალმო და ჩავაბარო ჩვენი მომავალი შვილი, თუ ღმერთი მიმასწრებინებს იქამდის, რომ შვილი ცოცხალი დამრჩეს და მე კი მოვკვდე.

„საყვარელო რობერტო, თუ ამ დაუდგრომელ დედა-მიწას მოვშორდე შენ უნახავათ და ვერ გითხარი პირათ, რომ მიყვარხარ და მეყვარები, მანამ სული მიდგია, დეე ამ სტრიქონებმა დაგარწმუნონ, რომ თუმცა უნუგეშოთ ვკვდები, მაგრამ წყევლით კი-არა გწყევლი. ის ორიოდ დღე, შენთან ერთად ბედნიერად გატარებული, სახსოვრათ მაქვს და სიკვდილს მიადვილებს.

„ერთი წლიწადი იყო ჩემი ნამდვილი სიცოცხლე. რა არ აიტანა ჩემმა გულმა, ღმერთს მადლობას ვწირავ იმ კეთილ და მწარე გრძნობისთვის, რომლის სულის ჩამდგმელი შენ იყავ.

„მშვიდობით, ჩემო ძვირფასო, ჩემი სიყვარული ძვირად დამიჯდა! ღმერთიც კი წინააღმდეგია, ამიტომ გვაშორებს საუკუნოთ; მაგრამ მე კი გიტოვებ სიყვარულის შვილს.

„გააბედნიერე ეს ყმაწვილი და მაში ჩემთანაც შერიგებული იქნები. ვიცი, ჩემი დარიგება საჭირო არ არის, შენ ისეთი კეთილშობილი ხარ, რომ შენი მოვალეობა შენვე კარგად იცი.

„მშვიდობით, იყავ ბედნიერი და ზოგჯერ მოიგონე შენი მარი.

„*P. S.* ყური მიგდე, რობერტო, ღმერთს ვთხოვ, მეც და ჩემი პაწაწაც თავისთან წაგვიყვანოს, იქნება მაშინ მაინც სიძულვილით არ მომიგონო“.

გულმა შეუტყო საწყალ ქალს: „სიყვარულის შვილი“ ჟანტიენს სწორედ შავ-ჭირათ გადექცა.

(გაგრძელება)

ზედ, რომელიც გაუგზავნეს იქიდამ სოციალისტების შესახებ კონგრესსის მოგროვებაზედ.

—

—გაზეთს „*Indépendance Belge*"-ს ინგლისის ჟურნალებიდამ მოჰყავს, რომ იმ კონფერენციის (რჩევის) პროექტი, რომელიც შეეხება გაქცეულ პოლიტიკურ დამნაშავეთ თავის შეფარებას სხვა-და-სხვა სახელმწიფოებში, არაფითარი ცვლილებითი გავლენა არ ექმნება ხალხთა შორის კანონმდებლობაზედ. გაზეთი „*Daily News*"-ი ამტკიცებს, რომ ინგლისის მთავრობა სრულებით უარს იტყვის კონფერენციის დანიშვნაზედო, თუ ამ რჩევას მიეცა ის თვისება, რომ შეუმცირონ უმაღლესი უფლება იმ სახელმწიფოებს, სადაც კი იმყოფებიან პოლიტიკური ემიგრანტები. გაზეთი „*Daily Telegraph*"-ის სიტყვით, არაფითარი ეჭვი არ არის, რომ ავსტრიაც კი უარს იტყვის და არ დათანხმდება კონფერენციის დანიშვნაზედ.

ასე რომ ევროპის ყველა სახელმწიფოებიდამ მარტო გერმანია იქმნება თანახმა კონფერენციის დანიშვნაზედ.

—პარიჟის გაზეთი „*Temps*" ამბობს, რომ, როცა თ. იმერეტინსკი სულთანს ელაპარაკებოდა, სხვათა შორის, შეეხო რუსის პოლიტიკურ ემიგრანტების თავის-შეფარებასაო. თვითონ სულთანი თანახმა არის რუსეთის წინადადებაზედ, მაგრამ არ ჰსურს, რომ ევროპის სახელმწიფოების მოქმედებას ჩამორჩეს ამ საქმეში.

## ტაქსია

საჭმელს ხორაგეულობათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით ხთის დღის განმავლობაში, 1 მაისიდამ 10 მაისამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის:

პირველის ხარისხის—1 გირვ. 6
მეორის „ — 1 გირ. $4^1/_2$

იმავე ფქვილიდამ თონეში გამომცხვარი:

პირველის ხარისხის—1 გირვ. $6^1/_2$ კ.
მეორის „ — 1 გირ. $4^1/_2$

ჯვარის-მამის პური:

პირველის ხარის. ლავაში 1 გირ. 7
მეორის „ „ 1 გირ. $5^1/_2$
მესამის „ „ 1 გირ. 5

ძროხის ხორცი:

პირველის ხარისხის— 1 გირ. 12 კ.
მეორის „ — 1 გირ. 10
სუკი — 1 გირ. 18
ცხვრის ხორცი - 1 გირ. 14

ღორის ხორცი:

პირველი ხარისხის— 1 გირ. 14
მეორის „ — 1 გირ. 12 კ.

ეს ტაქსია არ შეეხება სოფლის მწარმოებლებს, რომელთაც თფილისის ბაზრებში და მაედნებზე მოაქვსთ ხორაგი გასასყიდლად.

# განცხადებანი

—

თბილისში არსდება გიმნასტიური ამხანაგობა, რომლის მიზანი იქნება მისცეს თავის წევრებს გიმნასტიური, ხრმლისა და თოფის სროლის ვარჯიშობისა ქალაქს გარეთ სეირნობისა და სხვა რიგი დროების გატარების საშუალება, რომელნიც ძალას და ღონეს უმაგრებს ადამიანს.

ამ ამხანაგობის წესდება დამტკიცებულია მთავრობისაგან და დაბეჭდილია გაზეთი „კავკაზის" მე-90 №-ში.

წლიური შემოსატანი ფული ათი მანეთი, რომელთაც ჰსურთ თბილისის გიმნასტიურ ამხანაგობის წევრად ჩაწერა, შეუძლიანთ შემოიტანონ:

1) ვ. ა. დინგელშტეტთან, თამამშოვის სახლები ბაზრისა და ბარონის ქუჩების კუთხეზედ ყოველ დღეს საღამოს 6 საათიდამ 8 საათამდინ.

2) უ. კ. კესტერთან, მთავარ სამართველოს დეპარტამენტში ყოველ დღე ნაშუადღევის 11 საათ. 3—მდე.

3) ა. ა. ბრუნსთან მიხაილოვის ქუჩაზედ რუსულ მაღაზიაში.

4) გაზეთი „კავკაზის" რედაქციაში ბარიატინსკის ქუჩაზედ, ყოველ დღე ნაშუადღევის 10 საათ.—2—მდე.

(3—1)

---

## სოფელს ოქროყანაში

ქირით იძლევა სახლი, რომელიც შეიცავს ხუთ ოთახს ყველა თავის მოწყობილობით.

დაწვრილებით პირობის შეტყობა შეიძლება ოლგის ქუჩაზე, გაბაშვილის სახლებში. (1—1)

---

## ქუთაისში მაისის პირველიდამ

გრ. მირიანოვისა და კამპანიისაგან

გაიხსნა ახალი სასტუმრო

# ლივადია

ხაზაროვის კლუბის შენობაში. სასტუმროს ჩინებულად მოწყობილი ნომრები აქვს კორრიდორებით. ნომრების ფასი 75 კაპეიკიდამ 2 მან. 50 კაპეიკამდეა.

იმედი გვაქვს, რომ პატივცემული საზოგადოება სრული კმაყოფილი დარჩება ჩვენი სასტუმროსი. (5—2)

---

## უნივერსიტეტის სტუდენტს

ჰსურს ზაფხულის განმავლობაში აძლიოს გაკვეთილები გიმნაზიის კურსიდამ. თანახმაა სოფელშიაც წავიდეს.

მსურველს შეუძლიან „დროების" რედაქციას მიმართოს. (5—3)

---

სუფრის მოწყობილობა, სასუფეები, ჩაის სერვიზი და სხვ. ბრიტანიის მეტალისა, მურაბა და სხვ. იაფად ინგლისის მაღაზიაში. (10—9)

---

10 მაისს ამ 1881 წელსა, დილის ათ საათზედ, გაიხსნება ქ. გორში, გორის უეზდის თავადთ-აზნაურთა კრება, რომელმაც უნდა განიხილოს შემდეგი საგნები:

1) ამოირჩიოს რამდენიმე პირნი წევრათ უეზდის კომიტეტის შესადგენათ, რომელიც წესდება მთავრობის განკარგულებით, რათა მოიყვანოს სრულ ცნობაში: გორის უეზდის თავად-აზნაურებისაგან ჰრიკაზში დაგირავებული სოფლის მამულების მდგომარეობა; მამულების პატრონების შემლების მდგომარეობა და აგრეთვე მოიყვანოს ცნობაში-თუ რამდენათ შეუძლიან დაგირავებულ მამულს ახდენა ჰრიკაზის ვალისა და

2) მოიპოვოს ღონის-მიება, რომლითაც შეიძლოს კომიტეტმა მინდობილი საქმეების შესრულება.

ამის გამო უმორჩილესად ვთხოვ გორის უეზდის თავად-აზნაურობას, რომლებსაც აქვთ პრიკაზში დაგირავებული სოფლის მამულები, მობრძანდნენ კრებაში დანიშნულს ვადაზედ.

გორის უეზდის კეთილშობილთ წინამძღოლი თ. ა. ამილახვარი

(3—2)

---

## ანგარიში

ხვანჭკარის გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობისა 1880 წლის

1 იანვარს 1880 წლისა იყო;

| შემოსავალი: | მან. კ. | გასავალი: | მან. კ. |
|---|---|---|---|
| წილის ფული — — | 9318—90 | გამსესხებელი — — — | 7,904— „ |
| სასარგებლოდ შემოტანილი — — — — | 459— „ | ნაღდი ფული კასაში — | 2,862—48 |
| სათადარიგო თანხა — | 159—91 | | |
| წმინდა მოგება — — | 828—67 | | |
| სულ | 10,766—48 | სულ | 10,766—48 |

1880 წელში.

| შემოსავალი: | მან. კაპ. | გასავალი: | მან. კაპ. |
|---|---|---|---|
| წილადი ფული — — | 852—99 | წილადი ფული — — | 572—20 |
| სარგებელი დაჭერილი გასესხების ან ახალის ვადის მიცემის დროს— | 1,301—15 | მოგება 1879 წლის წილადებზედ მიცემული | 511—41 |
| ჯარიმა — — — — | 141—66 | გასესხებული — — — | 20,635— „ |
| დაბრუნებული სესხები | 17,461— „ | სარგებელი დაბრუნებული ვადაზე წინ გარდახდილი სესხისა — | 33—48 |
| სასარგებლოდ შემოტანილი — — — — | 386— „ | სასარგებლოდ შემოტანილი — — — — | 345— „ |
| სათადარიგო თანხა — | 83— „ | სარგებელი სასარგებლოდ შემოტანილისათვის — | 35—17 |
| სხვა-და-სხვა შემოსავალი | 18—65 | სამმართველოს ხარჯი— | 20— „ |
| | | სხვა-და-სხვა გასავალი— | 24—25 |
| | | ალებ-მიცემობის გასავალი — — — — — | 272—01 |
| სულ — | 20,244—45 | სულ — | 22,448—52 |

1 იანვარს 1881 წელსა არის:

| შემოსავალი: | მან. კაპ. | გასავალი: | მან. კაპ. |
|---|---|---|---|
| წილადი ფული — — — | 9,599—69 | გასესხებული — — — | 11,078— „ |
| სასარგებლოდ შემოტანილი — — — — | 500— „ | ნაღდი ფული კასაში— | 658—41 |
| სათადარიგო თანხა— — | 242—91 | | |
| წმინდა მოგება — — — | 1,393—81 | | |
| სულ | 11,736—41 | სულ | 11,736—41 |

წევრნი გამგებლობისა: თ. კონსტანტინე ყიფიანი. ს. გოცირიძე. ონისიმე მოწყნიძე.

(3—3)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 2 Мая 1881 г Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.